



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

10/03/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული - 2 წლის ვადით (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 30 ნოემბრის #176 გადაწყვეტილება)

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ჭინჭარაშვილი, საქართველოს რკინიგზა, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამამ რეაკრედიტაცია გაიარა 2018 წელს და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 30 ნოემბრის #176 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია. შესაბამისად დღეისათვის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია 240 კრედიტის მოცულობით, რომელიც გაწერილია 4 აკადემიურ წელზე. პროგრამის სტრუქტურაში 180 კრედიტი უკავია სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო 60 კრედიტი თავისუფალ კომპონენტს. პროგრამა ითვალისწინებს კონცენტრაციებს საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯმენტის, მარკეტინგის და ფინანსების მიმართულებით. პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით გათვალისწინებულია პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს შესაბამისი უნარების მქონე პირების დაშვებას პროგრამაზე. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების არსებობას, რაც საშუალებას აძლევს პროგრამის სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში აირჩიონ კონკრეტული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი და კიდევ უფრო გაიღრმავონ დარგობრივი ინგლისურის ცოდნა. გარდა ამისა, აღნიშნული დეტალი ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. პროგრამას ყავს კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით უზრუნველყოფენ პროგრამის გამართულ ფუნქციონირებას.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 31 აფილირებული აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი 19 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი და 2 ასისტენტი) და 3 მოწვეული აკადემიური პერსონალი.

ამჟამად, პროგრამაზე ირიცხება 227 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა 60% დასაქმებულია, ხოლო მათ შორის 48% დასაქმებულია პროფილის მიხედვით. პროგრამის კურსდამთავრებულების ნაწილი სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით 2021 წლის 10 მარტს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის პროცესში ონლაინ მოხერხდა დაწესებულების სასწავლო ინფრასტრუქტურის და ბიბლიოთეკის დათვალიერება, გადამოწმდა წიგნების ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია, ხოლო 1.2. კომპონენტი მეტწილშესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2 და 2.3, კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.4, 2.5 და 2.6 კომპონენტები შესაბამისობასაა მოთხოვნებთან. მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი შესაბამისობასაა მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტია მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან, თუმცა 5.2 და 5.3 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, კერძოდ როგორც ცნობილია პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), რაც მოცემული რუკით ბუნდოვანია. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპის დაცვით უნდა დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის ზოგიერთი შედეგის განვითარების დონეები;
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ნაცვლად ბუღალტრული აღრიცხვისა, ასევე საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (Minor) პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) წინაპირობების დაკორექტირება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად (Major) პროგრამაში ამ კურსებზე მითითებული წინაპირობების გათვალისწინებით;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები გარდა ორის ბუღალტერიისა შეთავაზებული იქნეს მეორე მოთხოვნადი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაც;
4. რეკომენდებულია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით, რომელ სასწავლო კურსებში მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის კორექტირება შემცირების კუთხით, თუნდაც ცალკეული კონცენტრაციების სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. მაგალითად, ვინაიდან კონცენტრაციის სასწავლო კურსები ხელს უწყობს კონკრეტული სწავლის შედეგების გაღრმავებას უნარების ნაწილში, შესაძლებელია ცალკეული კონცენტრაციის სწავლის შედეგის გამსხვილება/დაყვანა ერთ შედეგამდე, რაც ჯამში შეამცირებს პროგრამის სწავლის შედეგებს და მიუახლოვებს სასურველ/ოპტიმალურ რაოდენობას (10-მდე სწავლის შედეგი);
2. სასურველია სასწავლო კურსში „სამეწარმეო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს იგივე ავტორის რაც სილაბუსში არის მითითებული უახლესი 2019 წლის გამოცემა;
3. სასურველია გააქტიურდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები, მოხდეს სტუდენტებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების დადებითი მხარეების, უპირატესობების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს არსებული შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას და გაზრდის პროცესში პროგრამის სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლებს;

4. სასურველია უსდ-მ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად გააძლიეროს თანამშრომლობა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინტერაციონალიზაციის პროცესების გამრავალფეროვნებას და გაღრმავებას;
5. სასურველია სტუდენტებისთვის კიდევ უფრო მეტი ელექტრონული წიგნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უსდ-ს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში;
6. სასურველია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დახვეწა, კერძოდ მონაცემთა დამუშავების გამარტივების მიზნით შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი სახით გამოხატვა და აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის სამუშაოს შესრულების არადამაკმაყოფილები შეფასების მიღების შემთხვევაში ქმედითი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა;
7. სასურველია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება;
8. სასურველია გარე დამოუკიდებელი ექსპერტის შერჩევის და პროგრამის გარე შეფასების პროცედურების, შეფასების უნიფიცირებული ფორმების და კრიტერიუმების წინასწარი გაწერა;
9. სასურველია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის პროცესში გაიზარდოს მონაწილეობა, განსაკუთრებით კი დამსაქმებელთა, რაოდენობა, თვისობრივ ანალიზთან ერთად წარმოდგენილ იქნას დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების/შეფასებების რაოდენობრივი მონაცემები, დაზუსტდეს მონაცემთა მოპოვების მეთოდოლოგია (სიხშირე, ინსტრუმენტი), მონაცემთა ანალიზის პროცედურები და შემუშავდეს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სამოქმედო გეგმა;
10. აღნიშნული პროგრამის კურიკულუმის ევროპული თუ ამერიკული უნივერსიტეტების პროგრამებთან შედარებისათვის, სასურველია, დადგინდეს უცხოური უნივერსიტეტების ნუსხის შერჩევის კრიტერიუმები.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს თავაზობს ასევე ინგლისურ ენაზე შემდეგ სასწავლო კურსებს: Financial Reporting and Analysis. Corporate Finance. Operation management. Principles of Marketing Research, Logistics. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს Erasmus+ გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის დამატებით კიდევ ორ ინგლისურენოვან სასწავლო კურსს: Accounting და Basics of Marketing. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტს სურვილის შემთხვევაში აირჩიოს მოცემული კურსები და გაიღრმავოს პროფესიული ინგლისური ცოდნის დონე, რაც ცალსახად საუკეთესო პრაქტიკას უნდა მივიჩნიოთ.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნებიდან გამომდინარე პროგრამაში განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები, კერძოდ გაზრდილია პროგრამის სავალდებულო დისცილინების მოდულის კრედიტების მოცულობა 180 კრედიტამდე, დაკორექტირებულია გარკვეული სსწავლო კურსების კრედიტების მოცულობა, დამატებულია ახალი სასწავლო კურსები მათ შორის გარკვეული კურსების შეთავაზება ხდება ინგლისურ ენაზე (Financial Reporting and Analysis. Corporate Finance. Operation management. Principles of Marketing Research. Logistics., Accounting. Basics of Marketing). გარდა ამისა პრაქტიკული უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსებში მოხდა პრაქტიკული სამუშაოების/როლური თამაშების/სიმულაციების ინტეგრირება, დაიხვეწა შეფასების სიტემა და ა.შ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას გააჩნია ფართო და ვიწრო მიზნები, კერძოდ პროგრამის ფართო მიზანია უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, რომელიც ხელს შეუწყობს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების და ღირებულებების შესაბამისი, უწყვეტი პროფესიული ზრდის უნარის მქონე ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადებას და დასაქმებას. პროგრამის მიზნები ჩაშლილია ასევე იმ კონცენტრაციების მიხედვით, რომლის არჩევაც შეუძლია აღნიშნული პროგრამის სტუდენტს, შესაბამისად პროგრამის ვიწრო მიზანია:

- სტუდენტს მისცეს ბიზნესისა და ადმინისტრირების, მისი შემადგენელი სფეროების (საბუღალტრო აღრიცხვა/ფინანსები/მენეჯმენტი/მარკეტინგი) ძირითადი მიდგომებისა და პერსპექტივების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა;
- მმართველობითი საქმიანობის განსახორციელებლად გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლოს ბიზნეს-პრობლემების იდენტიფიცირება, მონაცემების ანალიზი, შეფასება, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და კომუნიკაცია;

ამასთან, სოხუმის უნივერსიტეტის მისიაა „კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დამყარებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის“, შესაბამისად ცხადია, რომ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და კონცენტრაციების ნაწილში აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლის შეძენასაც შეძლებენ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედგენისას დაწესებულების მიერ გათვალისწინებული როგორც ქართული ისე უცხოური გამოცდილება, ანალოგიური პროგრამების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში მოცემული სწავლის კონკრეტული შედეგები, რომლის მიღწევაც შეუძლია პროგრამის კურსდამთავრებულს. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, კერძოდ: პროგრამის სწავლის შედეგებია: ცოდნა და გაცნობიერება - აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად თეორიებს, პრინციპებს, კონცეფციებს, მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს; - აცნობიერებს ბიზნესის ადმინისტრირების საერთო სტრუქტურას, შემადგენელ სფეროებსა და მათ შორის ურთიერთკავშირს. კონცენტრაცია - საბუღალტრო აღრიცხვა - აღწერს საბუღალტრო აღრიცხვის სფეროს ძირითად პრინციპებს, კონცეფციებს, მათი განვითარების ტენდენციებს; - ახდენს საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას; - აცნობიერებს ბიზნეს-გადაწყვეტილებებში ფინანსური ანგარიშგების, ეკონომიკური ინფორმაციის სისტემატიზაციისა და პროგრამული დამუშავების აუცილებლობას. კონცენტრაცია - მარკეტინგი - აღწერს ფირმის მარკეტინგულ საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით; - აცნობიერებს ფირმის მარკეტინგული საინფორმაციო სისტემის და მარკეტინგული კვლევის

როლს მის საქმიანობაში. აყალიბებს მისი განხორციელების თანამედროვე მეთოდებს;

- განსაზღვრავს მომხმარებელთა ქცევის შესწავლის და გათვალისწინების მთავარ პრინციპებსა და მეთოდებს.
- **კონცენტრაცია - ფინანსები**
- აცნობიერებს ფინანსების ძირითად პრინციპებს და კონცეფციებს;
- აღწერს ფინანსური სისტემის თანამედროვე მოდელებს, ფინანსური ბაზრისა და ინსტიტუტების თავისებურებებს;
- განსაზღვრავს ინვესტიციების შეფასების მეთოდურ ინსტრუმენტებს, ფინანსური გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებს.
- **კონცენტრაცია - მენეჯმენტი**
- აღწერს მენეჯმენტის ტექნოლოგიებს, სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითად კონცეფციებს, მეთოდებს, პროექტების მართვის თავისებურებებს;
- განიხილავს სუბიექტების ქცევის განმსაზღვრელ მოტივებს, მოლაპარაკებათა წარმართვის სტრატეგიებს;
- აცნობიერებს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მნიშვნელობას მიზნის მიღწევაში;
- განსაზღვრავს გუნდური მუშაობის ორგანიზების პრინციპებს, კორპორატიული მართვის მექანიზმებს.

უნარი

- იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ბიზნეს-პროცესების სამართავად;
- აყალიბებს ეფექტიან მმართველობით გადაწყვეტილებებს ბიზნესის ადმინისტრირებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრების, მონაცემების/სიტუაციების ანალიზის საფუძველზე;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს ბიზნესის მართვის საკითხებზე დასკვნების პრეზენტაციას სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის.
- **კონცენტრაცია - საბუღალტრო აღრიცხვა**
- არჩევს საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
- ადგენს ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს პროგრამული უზრუნველყოფით;
- აანალიზებს სამეურნეო ოპერაციებს, საწარმოო ხარჯებს, ფინანსურ ტრანზაქციებს, ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს, აუდიტორულ პროცედურებს.
- **კონცენტრაცია - მარკეტინგი**
- ახდენს საჭირო მარკეტინგული ინფორმაციის სისტემატიზაციას, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მარკეტინგული პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიებას;
- ავლენს და აწვდის ფირმის მარკეტინგულ შესაძლებლობებს;
- იყენებს ფირმის საქმიანობაში მარკეტინგული კვლევის შედეგებს; მომხმარებლების ქცევის ცოდნას; დისტრიბუციის, საზოგადოებასთან ურთიერთობების, რეკლამისა და წინსვლის ინსტრუმენტებს ფირმის საბაზრო მიზნების მისაღწევად.
- **კონცენტრაცია - ფინანსები**
- ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად იყენებს შესაბამის მეთოდებს;
- იყენებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას ბიზნეს გადაწყვეტილების მისაღებად;
- აფასებს ფინანსური გადაწყვეტილებების, ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებას საინვესტიციო პროექტის ფარგლებში.
- **კონცენტრაცია - მენეჯმენტი**
- აყალიბებს მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას, მაღალკვალიფიციურ გუნდს;

- არჩევს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ოპტიმალურ ვარიანტს;
- აანალიზებს საქმიანი ურთიერთობების და მოლაპარაკებების ტექნოლოგიების ცალკეულ ასპექტებს;
- აფასებს ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით მოსალოდნელ რისკ-ფაქტორებს;
- იყენებს ორგანიზაციული ქცევის მართვის თანამედროვე მეთოდებს რეალური სიტუაციების გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- არაპროგნოზირებად გარემოში, ხარისხიანად და ეთიკური ნორმების დაცვით, გეგმავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას;
- ცნობს უწყვეტი პროფესიული განვითარების და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, პროგრამის შინაარსს და მოიცავს იმ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას რომლის მიღწევაც შეუძლია პროგრამის კურსდამთავრებულს. პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკა, კერძოდ პროგრამის სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა კონცენტრირება მოახდინოს საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯმენტის, მარკეტინგის და ფინანსების მიმართულებით, რაც ბუნებრივია მოითხოვს პროგრამის სწავლის შედეგების დაკონკრეტებას მოცემულ ნაწილში. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონის (ბალკალავრიატი) სწავლის შედეგების აღმწერს, მისანიჭებელ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას, არის გაზომვადი და შესაძლებელია მისი მიღწევა. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციისათვის აუცილებელ სწავლის შედეგებს (მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, საინფორმაციო ტექნოლოგიების) მიმართულებით, ასევე ახდენს სწავლის შედეგების კონკრეტიზაციას, ჩაღრმავებას ცალკეული პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციების მიხედვით. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და პროგრამის კურსდამთავრებულს აძლევს საშუალებას სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ინტერვიუებით და უსდ-ს მიერ წარმდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. მაგალითად, ერთერთ პოტენციურ დამსაქმებელთან ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მათი რეკომენდაციით პროგრამაში ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში სასწავლო კურსის ფარგლებში გაძლიერდა ექსელის სწავლება და ა.შ.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების თავსებადობა კარგად ჩანს პროგრამის კურიკულუმით, რომელიც წარმოდგენილია, როგორც სასწავლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის, ისე სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკების სახით ცალკეული კონცენტრაციების დონეზე. ამასთან, როგორც პროგრამის კურიკულუმის ანალიზიდან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებით ირკვევა პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება უნდა მოხდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის და საბაკალავრო ნაშრომის ხარჯზე. შესაბამისად, მოცემულ ნაწილში გაგვაჩნია გარკვეული მოსაზრებები:

- რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, კერძოდ როგორც ცნობილია პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება),

რაც მოცემულ რუკიდან გამომდინარე ბუნდოვანია. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპის დაცვით მოცემულ რუკაზე უნდა დაკორექტირდეს პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის განვითარების დონეები.

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის კორექტირება შემცირების კუთხით, თუნდაც ცალკეული კონცენტრაციების სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. მაგალითად, ვინაიდან კონცენტრაციის სასწავლო კურსები ხელს უწყობს კონკრეტული სწავლის შედეგების გაღრმავებას უნარების ნაწილში, შესაძლებელია ცალკეული კონცენტრაციის სწავლის შედეგის გამსხვილება/დაყვანა ერთ შედეგამდე, რაც ჯამში შეამცირებს პროგრამის სწავლის შედეგებს და მიუახლოვებს სასურველ/ოპტიმალურ რაოდენობას (10-მდე სწავლის შედეგი).

აღსანიშნავია, ის გარემოება რომ უნივერსიტეტში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ რომლითაც განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. სემესტრულად ხორციელდება პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კონტროლდება გაუსის ნორმალური განაწილებიდან გადახრა, 20%-იანის გადახრის შემთხვევაში ხორციელდება სწავლის შედეგების და მისი მიღწევის გზების გადახედვა. გარდა ამისა, როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა დაწესებულება ასევე ახდენს კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების პერმანენტულ კვლევებს. შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები, რომლებიც ეგზავნება დაინტერესებულ მხარეებს და ხდება მათი ანალიზი. სწორედ, მსგავსი მექანიზმების არსებობითაა განპირობებული პროგრამაში განხორციელებული სცვლილებები, კერძოდ: გაძლიერებულია სპეციალობის სასწავლო კურსების ბლოკი, მათ შორის მარკეტინგის, ფინანსების და მენეჯმენტის ნაწილში. გაძლიერებულია პროგრამის მიზნების მიღწევისათვის საჭირო ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ნაწილი მათ შორის Excel-სა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის Access-ის სწავლების კუთხით, გაძლიერდა უცხო ენების სწავლების ბლოკი დარგობრივი უცხო ენების ხარჯზე, გაფართოვდა პროგრამის ზოგადი ტრანსფერული უნარების მიღწევისათვის საჭირო კურსების ჩამონათვალი და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, წარმოდგენილი ინფორმაცია ნათელ წარმოდგენას, იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რომელიც მიმართული იყო პროგრამის სრულყოფისაკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, კერძოდ როგორც ცნობილია პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), რაც მოცემულ რუკით ბუნდოვანია. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპის დაცვით მოცემულ

რუკაზე უნდა დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის ზოგიერთი შედეგის განვითარების დონეები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის კორექტირება შემცირების კუთხით, თუნდაც ცალკეული კონცენტრაციების სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. მაგალითად, ვინაიდან კონცენტრაციის სასწავლო კურსები ხელს უწყობს კონკრეტული სწავლის შედეგების გაღრმავებას უნარების ნაწილში, შესაძლებელია ცალკეული კონცენტრაციის სწავლის შედეგის გამსხვილება/დაყვანა ერთ შედეგამდე, რაც ჯამში შეამცირებს პროგრამის სწავლის შედეგებს და მიუახლოვებს სასურველ/ოპტიმალურ რაოდენობას (10-მდე სწავლის შედეგი).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს შესაბამისი უნარების მქონე პირების დაშვებას პროგრამაზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ▪ სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი; ▪ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგები, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სავალდებულო საგნებად კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია: სავალდებულო - ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული), არჩევით - მათემატიკა ან ისტორია; ▪ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია, აგრეთვე, მობილობით - სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, ცნობარში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.sou.edu.ge
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. https://www.sou.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით და მისი ხანგრძლივობა გაწერილია 4 აკადემიურ წელზე. პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან, რაც განაწილებულია შემდეგნაირად:

პროგრამის სავალდებულო კომპონენტი - 180 კრედიტი

- უცხო ენების ბლოკი (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) – 21 კრედიტი;
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 135 კრედიტი;
- არჩევითი კონცენტრაციები (საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები) - 24 კრედიტი;

თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

- თავისუფალი კურსები - 60 კრედიტი;
- დამატებითი (minor) პროგრამა - 48 კრედიტი პლუს 12 კრედიტი არჩევითი მოცემულ ნაწილში)

პროგრამის სავალდებულოს სასწავლო კურსების მოდული მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს (6 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტს (6 კრედიტი). პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება მეშვიდე სემესტრში, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები) და კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი. მერვე სემესტრში ხდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში მიღებული დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი უნარების, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში (არჩეული კონცენტრაციების შესაბამის) პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების დოკუმენტირებას - წინასწარ განსაზღვრული მითითებების გათვალისწინებით, ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს თავაზობს ასევე ინგლისურ ენაზე შემდეგ სასწავლო კურსებს: Financial Reporting and Analysis. Corporate Finance. Operation management. Principles of Marketing Research, Logistics. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს Erasmus+ გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის დამატებით კიდევ ორ ინგლისურენოვან სასწავლო კურსს: Accounting და Basics of Marketing. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტს სურვილის შემთხვევაში აირჩიოს მოცემული კურსები და გაიღრმავოს პროფესიული ინგლისური

ცოდნის დონე, რაც ცალსახად საუკეთესო პრაქტიკას უნდა მივიჩნიოთ.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა აგებულია ლოგიკურად, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამის სტრუქტურა დაფუძნებულია მარტივიდან-რთულისაკენ ლოგიკაზე, რაც თავის მხრივ ასახულია როგორც სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში და მათ შინაარსში, ისე მათი შესწავლის თანმიმდევრობაში. ამასთან, პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობების მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ნაცვლად ბუღალტრული აღრიცხვისა, ასევე საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (Minor) პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) წინაპირობების დაკორექტირება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად (Major) პროგრამაში ამ კურსებზე მითითებული წინაპირობების გათვალისწინებით;

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მისი შინაარსი შესაბამისობაში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსის ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ნაცვლად ბუღალტრული აღრიცხვისა, ასევე საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (Minor) პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) წინაპირობების დაკორექტირება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად (Major) პროგრამაში ამ კურსებზე მითითებული წინაპირობების გათვალისწინებით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს თავაზობს ასევე ინგლისურ ენაზე შემდეგ სასწავლო კურსებს: Financial Reporting and Analysis. Corporate Finance. Operation management. Principles of Marketing Research, Logistics. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს Erasmus+ გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის დამატებით კიდევ ორ ინგლისურენოვან სასწავლო კურსს: Accounting და Basics of Marketing. აღნიშნული საშუალებას აძლევს

სტუდენტს სურვილის შემთხვევაში აირჩიოს მოცემული კურსები და გაიღრმავოს პროფესიული ინგლისური ცოდნის დონე, რაც ცალსახად საუკეთესო პრაქტიკას უნდა მივიჩნიოთ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოდგენილია 180 კრედიტის მოცულობით, რომელშიც შედის პროგრამით გათვალისწინებული კონცენტრაციები (საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარეტინგი და ფინანსები) 30 კრედიტის მოცულობით. თითოეული კონცენტრაცია წარმოდგენილია სასწავლო კურსების (24 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომის (6 კრედიტი) სახით, შესაბამისად სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს წერს იმ მიმართულებით, თუ რომელ კონცენტრაციაზე აქვს მას არჩეული. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ითვალისწინებს სწავლა-სწავლების შესაბამის მეთოდებს (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო და სხვა), რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და აღწერილია სილაბუსში. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ცალკეული ერთეულის სწავლის შედეგი მიმართულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისკენ. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტი სწავლების შესაბამისი ეტაპის ადევალტურია და ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნას და უნარებს, ხოლო თავად წარმოადგენს წინაპირობას მემკვიდრე კომპონენტის/კურსის ათვისებისათვის. ამასთან, ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი შესაძლებელია კიდევ უფრო დაიხვეწოს და მეტად მოერგოს თანამედროვე მოთხოვნებს,

მაგალითად: რეკომენდებულია სასწავლო კურსში ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები გარდა ორის ბუღალტერიისაა შეთავაზებული იქნეს მეორე მოთხოვნადი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაც.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს; ითვალისწინებს სიახლეებს და მიღწევებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსებში მაქსიმალურად არის გამოყენებული ქართულენოვანი თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია მათი განახლება, მაგალითად: სასწავლო კურსში „სამეწარმეო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად უპრიანია გამოყენებული იქნეს იგივე ავტორის რაც სილაბუსში არის გამოყენებული უახლესი 2019 წლის გამოცემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები გარდა ორის ბუღალტერიისაა შეთავაზებული იქნეს მეორე მოთხოვნადი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაც;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსში „სამეწარმეო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს იგივე ავტორის რაც სილაბუსში არის მითითებული უახლესი 2019 წლის გამოცემა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა თავის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით მოიცავს პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტებს. შესაბამისად, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პრაქტიკის შეფასებისა და გაფორმების ინსტრუქცია. პროფესიული პრაქტიკის გავლის პერიოდში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს აკადემიური პერსონალი ან მოწვეული მასწავლებელი, რომელიც არის დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. გარდა ამისა, პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას რაც გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. თითოელი პროფილური დისციპლინის სწავლება თეორიულ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პრაქტიკული სამუშაოს (ამოცანები, ქვიზები, პრაქტიკული სიტუაციების გაანალიზება, როლური თამაშები/სიმულაცია).

პროგრამა საბაკალავრო ნაშრომის მეშვეობით ხელს უწყობს ასევე სტუდენტებში კვლევითი და პრაქტიკული უნარების გარკვეულ დონეზე განვითარებას. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა სტუდენტს უვითარებს დამოუკიდებელი საპროექტო/კვლევითი სამუშაოს წარმართვის საწყის უნარებს და ამზადებს წინაპირობებს, რათა სტუდენტმა უფრო მარტივად შეძლოს აკადემიური განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს, ხდება სტუდენტური ნაშრომების გამოქვეყნება და ა.შ. უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, როგორც პარტიორ ორგანიზაციებში, ისე ბაზარზე არსებულ სხვა ორგანიზაციებში. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებული იქნა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მიერ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომები და პრაქტიკის ანგარიშები, რომლებიც აკმაყოფილებენ არსებულ მოთხოვნებს და ხელს უწყობენ პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების შესაბამის დონეზე განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მიერ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომები და პრაქტიკის ანგარიშები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. კერძოდ, სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი; წიგნზე მუშაობა; წერითი მუშაობა; პრაქტიკული; დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); დემონსტრირება; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა-განმარტება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; როლური თამაშები/ სიმულაციის მეთოდი. აღსანიშნავია, ისიც რომ ერასმუსის პროგრამის სტუდენტებისთვის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს უცხოელი სტუდენტების კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას, რასაც მოწმობს არსებული პრაქტიკა პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების წარმატებული მიღებისა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. https://www.sou.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, შეფასება არის მრავალკომპონენტური და ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასებას/გამოცდას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია წერითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არა ნაკლებ 20 ქულიანი წერითი კომპონენტით. შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს 15 ქულაზე ნაკლები. დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების 45% -ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული ცოდნის შეფასების მეთოდები მორგებულია ცალკეული კურსის სპეციფიკაზე და უზრუნველყოფს ამ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სემესტრის დასაწყისში ელექტრონული პორტალის მეშვეობით სტუდენტები ეცნობიან სასწავლო კურსების სილაბუსებს სადაც დეტალურად არის გაწერილი გამოყენებული შეფასების სისტემა. შესაბამისად, აღნიშნული შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე და სტუდენტი ფლობს ინფორმაციას მის შესახებ. მაგალითად, სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა რომ ისინი იყენებენ გასაჩივრების სისტემას და რამდენჯერმე შეძლეს არსებული შედეგების გადახედვა. გარდა ამისა, ლექტორები მიღებულ შეფასებებს 1 კვირის განმავლობაში უტვირთავენ შეფასებებს ელ. ბაზაში სტუდენტებს და ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებისამებრ უწევენ კონსულტაციებს და საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების შესახებ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და არის შესაბამისობაში არსებულ წესებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

▪ საწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. https://www.sou.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი, რომელიც სხვა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან ერთად განსაზღვრავს სტუდენტის ინფორმირებულობის მექანიზმებსა და ხარისხს მათ შორის, სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, მის აკადემიურ მიღწევების გაუმჯობესების შესაძლებლობებზე, დასაქმებაზე და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე. სტუდენტი პროგრამის ხელმძღვანელის, დეკანატის წარმომადგენლის მიერ იღებს კონსულტაციას პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, მათი შესწავლის ეფექტური დაგეგმვის შესახებ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, რომლის დებულების თანახმად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სტუდენტებში წარმოქმნილი კონფლიქტური და პრობლემური საკითხების შესწავლა და ამავე საკითხების მოგვარება. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ასევე, სტუდენტთა კარიერის პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომლის უშუალო ფუნქციაა - სტუდენტების ხელშეწყობა და ინფორმირება დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ამავე დროს სამსახური სისტემატურად ატარებს გამოკითხვებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, შექმნილია კურსდამთავრებულთა ბაზა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმართველობა და სხვადასხვა სტუდენტური კლუბების, რომლებიც ადმინისტრაციასთან ერთად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სახის შემეცნებით ღონისძიებებს, ტარდება ტრენინგ-სემინარები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე. ტარდება საჯარო ლექციები, სემინარ-დისკუსიები, მრგვალი მაგიდები და სხვა; უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება შემეცნებითი გასვლითი ექსკურსიები, ეწყობა ლაშქრობები და სამეცნიერო გასვლითი ტურები; უნივერსიტეტის თვითმართველობისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ ყოველწლიურად ეწყობა სეზონური თემატური სკოლები; სსუ-ს სტუდენტები უნივერსიტეტის ხელშეწყობით მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ბანაკებში; უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უცხო ენების შესწავლისათვის უფასო კურსებს; „სსუ“-ში სისტემატურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები და სხვ. ამასთან, სასურველია გააქტიურდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები, მოხდეს სტუდენტებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების დადებითი მხარეების, უპირატესობების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს არსებული შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას და გაზრდის პროცესში პროგრამის სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლებს.

პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კონსულტაციებისათვის აქტიურად გამოიყენება შიდა საუნივერსიტეტო სასწავლო ონლაინ პლატფორმა, რომელიც აქტიურად არის გამოყენებული როგორც სტუდენტების ისე აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

▪ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ საწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან; ▪ ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. https://www.sou.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია გააქტიურდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები, მოხდეს სტუდენტებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების დადებითი მხარეების, უპირატესობების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს არსებული შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას და გაზრდის პროცესში პროგრამის სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სტანდარტი არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციას. მათ გააჩნიათ სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის დიდი გამოცდილება, რომელთა კომპეტენცია დასტურდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობით, ასევე ბოლო 5 წელში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, სხვადასხვა ჟილდობებითა და საპატიო წოდებებით, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში კი - სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილების, ცოდნის და კომპეტენციის არსებობით. აკადემიური პერსონალის შერჩევა სამართლიანი და გამჭვირვალე კონკურსის წესით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს პერსონალის მართვის ზოგად და ობიექტურ პროცედურას, უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოღვაწეობის ხარისხი უნივერსიტეტში სისტემატიურად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; კერძოდ: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 31 (5 პროფესორი, 19 ასოცირებული, 5 ასისტენტ-პროფესორი, 2 ასისტენტი) აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი. მათი საათობრივი დატვირთვა იძლევა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმართვის და სტუდენტების კონსულტირების განხორციელების საშუალებას. პროგრამაზე ირიცხება 227 სტუდენტი. სულ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აქტიური სტუდენტების

რაოდენობასთან არის 34/227. ყოველივე ზემოთთქმული საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 4 ხელმძღვანელი, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებას და შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. ისინი განსაზღვრავენ პროგრამის სტრუქტურას, აკომპლექტებენ პროგრამას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით. პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ისინი მუდმივად მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში და გარდა კვლევითი საქმიანობისა, ჩართულები არიან პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, ასევე სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის ხელმძღვანელები პასუხისმგებლები არიან ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, მათ პოზიციებზე ხდება კვალიფიციური კადრების მოზიდვა და დასაქმება. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განხორციელებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ისინი უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებისთვის სათანადო პირობების შექმნას და სტუდენტები მუდმივად გრძნობენ მათ მხარდაჭერას. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასება ასევე ხორციელდება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც მოქმედებს პერსონალის შეფასების სისტემა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება მათი სწავლებისა და სამეცნიერო კომპეტენციის გათვალისწინებით. სწავლების კომპეტენციის შეფასებისთვის გამოიყენება თვითშეფასება, კოლეგების და სტუდენტების მიერ შეფასება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სილაბუსების შემოწმება, დასწრება მეცადინეობებზე, ფასდება საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსი. ანალიზდება შედეგები, მუშავდება რეკომენდაციები, რაც გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპეტენციის შესაფასებლად გამოყენებულ კრიტერიუმს შორისაა: შესაბამისი აკადემიური ხარისხი, პუბლიკაციები, მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, აქტიური საქმიანობა პროფესიულ ორგანიზაციებში, დარგობრივი კომისიების წევრობა და სხვ. შედეგების გაანალიზებასა და შესაბამისი ზომების მიღებაში ჩართულები არიან უნივერსიტეტის მმართველი რგოლები.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში პოზიციების განმტკიცება, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა, საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება. ამის განსახორციელებლად კი მნიშვნელოვნად მიიჩნევა სამეცნიერო პერსონალის მომზადება და პროფესიული განვითარება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება, საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება. აკადემიური პერსონალი მუდმივად გრძნობს უნივერსიტეტის მხარდაჭერას სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების შექმნაში, სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობაში.

უნივერსიტეტში მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისთვის განხორციელებულია არაერთი აქტივობა: ტრენინგები, სხვადასხვა ქვეყნებში სასწავლო ვიზიტები, სემინარები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სტაჟირებები, ბოლო 2 წლის განმავლობაში კი ეპიდვითარებიდან გამომდინარე ჩატარებული ონ-ლაინ ტრენინგები, სემინარები, ვებინარები და საჯარო ლექციები. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, ისინი უნივერსიტეტის მხრიდან საკმაოდ მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას გრძნობენ აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად, თუმცა უნივერსიტეტის მხრიდან იგეგმება ინტერნაციონალიზაციის

გასაძლიერებლად მეტი ღონისძიების გატარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები; ▪ ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია; ▪ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; ▪ ინტერნაციონალიზაციის დებულება; ▪ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ▪ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ▪ ინტერვიუს შედეგები; ▪ უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია უსდ-მ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად გააძლიეროს თანამშრომლობა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინტერაციონალიზაციის პროცესების გამრავალფეროვნებას და გაღრმავებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის დათვალიერება უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად განხორციელდა ონ-ლაინ ფორმატში. უნივერსიტეტი განთავსებულია 2 სასწავლო კორპუსში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ ბოლო წლებში გარემონტებული სასწავლო ფართის დიდი ნაწილი, თანამედროვე ინვენტარით, კომპიუტერული ქსელით, პროექტორებით და ინტერაქტიური

დაფებით აღჭურვილი აუდიტორიები, რომელთაც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს IT განყოფილება, ფოიეები, ლაბორატორიები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, კომპიუტერული კლასი, ერასმუსის პროგრამის ოთახი. უნივერსიტეტში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. პირველ სასწავლო კორპუსში მოქმედებს სამედიცინო პუნქტი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი, ასევე თანამედროვე კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა ორივე სასწავლო კორპუსში განთავსებული სამკითხველო დარბაზებით, გამოყოფილი სამუშაო სივრცეებით აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. მათი დათვალიერება აკრედიტაციის ექსპერტების მიერ ასევე ონლაინ ფორმატში განხორციელდა. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია უკაბელო ინტერნეტით, ამობეჭდვის, ასლის გადაღებისა და სკანირების ტექნიკური მოწყობილობებით. ბიბლიოთეკა მოიცავს ბეჭდურ წიგნებს, სახელმძღვანელოებს, ჟურნალებს დარგობრივი მიმართულებების მიხედვით, პერიოდულ გამოცემებს, რიდერებს, ლექციათა კურსებს და სხვ. უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, შესაბამისი ვებ-გვერდი, ელექტრონული კატალოგი, საბიბლიოთეკო პროგრამა, რომლის საშუალებით სტუდენტი აკეთებს განაცხადს წიგნით სარგებლობაზე. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ყველა სახელმძღვანელოს არ გააჩნია ელექტრონული ვერსია და ბიბლიოთეკის თანამშრომლები სტუდენტების მხრიდან მოთხოვნის შესაბამისად ახდენენ მათ სკანირებას. ბიბლიოთეკის პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, მონაწილეობას ღებულობს ტრენინგებში, ეცნობა სიახლეებს. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ტარდება გამოკითხვები სტუდენტთა შორის.

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია ინფრასტრუქტურის განვითარება, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კორპუსის დარჩენილი ნაწილის რემონტს, ბიბლიოთეკის სერვისებისა და რესურსების გაუმჯობესებას. სტუდენტებსა და პერსონალს გააჩნიათ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ინიციატივით “Clarivate Analytics” ჯგუფთან, რაც გულისხმობს „ტომსონ როიტერის“ ელექტრონულ ბაზებზე წვდომას. ასევე ერასმუს + პროექტის 3 წლიანი ხელშეკრულება არის გაფორმებული, რის მიხედვითაც სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა „EBSCO“-ს სამეცნიერო და სახელმძღვანელოების ბაზებზე. უნივერსიტეტში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

სასწავლო პროცესის მართვისთვის უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული სისტემა „ელგონი“, რომლის მომხმარებლებიც არიან უნივერსიტეტის სტუდენტები, ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. აღნიშნულ სისტემაში რეალიზებულია სასწავლო პროცესის მართვის, აკადემიური/ადმინისტრაციული რესურსის რეგისტრაციის, სტუდენტების ფინანსური მოდულის, დოკუმენტრუნვის წარმოების (კანცელარიის) ელექტრონული პროცესები.

უნივერსიტეტში დაინერგა ელექტრონული სისტემა „სტადლაბი“, რომელიც ახორციელებს უსდ-ს სხვადასხვა რესურსის ელექტრონულ მართვას, ერთიანი ელექტრონული ბაზის ფორმირებას, რომელშიც თავმოყრილია სტუდენტებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია (სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსები, შეფასებები, სტატუსის ცვლილება და სხვ.). ინტერვიუს დროს აკადემიური პერსონალი და სტუდენტები კმაყოფილები არიან აღნიშნული სისტემით, თუმცა მომავალში მისი უფრო მეტად დახვეწის სურვილიც გამოითქვა.

უნივერსიტეტში მოქმედებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება, რომელიც ახორციელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებას და არსებული ელექტრონული

სისტემების ეფექტურად მუშაობას. იგი უზრუნველყოფს კიბერუსაფრთხოებისთვის საჭირო ზომების განხორციელებას და მოქმედებს უნივერსიტეტში არსებული „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკის“, ასევე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის“ მიხედვით.

უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის ცხოვრებაში, რადგან აქვს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- ინტერვიუს შედეგები;
- აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sou.edu.ge;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტებისთვის კიდევ უფრო მეტი ელექტრონული წიგნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უსდ-ს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ინტერვიუს შედეგებმა ნათელი წარმოდგენა შექმნა პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენს. იგი დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოზე. უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა, ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია: საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასური; ეროვნული და საერთაშორისო ფონდების სასწავლო და სამეცნიერო გრანტები; ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სხვა ნებადართული შემოსავალი.

მიღებული შემოსავლების მოცულობა ყოველწლიურად მზარდია. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი განაგრძობს მუშაობას დაფინანსების წყაროების მოძებნის მიმართულებით როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის თანმხლები ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი - პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო, პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების განხორციელების პროცესში და ასევე იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნულ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ა) საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს დადგენილება No 05/01-384, 22. 02. 2018), რომელიც აღწერს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების ზოგად პროცედურებს; ბ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (სსიპ -სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური საბჭოს დადგენილება No 05/01-172, 5.08.2014), გ) 2020 წელს შემუშავებული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის აღმწერი დოკუმენტი; დ) აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“, რომელიც მიმოხილავს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის შეფასების პროცედურებს. სხვადასხვა ინსტრუმენტის საშუალებით ხდება სასწავლო პროცესისა და პროგრამის მართებულობის შეფასება, კერძოდ, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, აკადემიური/ ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების (პროგრამის რელევანტურობა შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან) გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თვითშეფასება, სილაბუსების შემოწმება, დასწრება მეცადინეობებზე და სხვა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის (ფაკულტეტის დეკანი) წარმომადგენლებთან და აკადემიურ-სამეცნიერო პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტში იმართება შეხვედრები პროგრამის შეფასების, მასში ცვლილებების განხორციელებისა (ახალ სასწავლო კურსების დამატება, კურსებისთვის წინაპირობების განსაზღვრა, ლიტერატურის განახლება, სწავლის მეთოდებისა და შეფასების სისტემების გადახედვა) და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. პროგრამის კონცენტრაციის რელევანტურ აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან შეჯერებული საკითხების განხილვა ხდება ჯერ ფაკულტეტის და შემდეგ კი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე მისი საბოლოო დამტკიცების მიზნით. ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს კვლევის შედეგებს, სტუდენტებისა და დამსაქმებლების შემოთავაზებებს, რაც დასტურდება პრაქტიკული კომპონენტისგამოღობებით, ექსელის და სხვა კომპიუტერული პროგრამების სწავლების ინტეგრირებით პროგრამის

კურიკულუმში, სასწავლო მასალების განახლებითა და სწავლის მეთოდების დახვეწით. განხორციელებული ცვლილებები დასტურდება ფაკულტეტის საბჭოს ოქმებით. უსდ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც მიზნად ისახვას სწავლებისა და სამეცნიერო კომპეტენციების დადგენას, თუმცა სასურველია მისი შინაარსობრივი დახვეწა და მონაცემთა დამუშავების გამარტივების მიზნით შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი სახით გამოხატვა და არადამაკმაყოფილები შეფასების მიღების შემთხვევაში ქმედითი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა. ამასთან, პროგრამის კურიკულუმის ანალიზად გამომდინარე რეკომენდებულია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით, რომელ სასწავლო კურსებში მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დახვეწა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო რესურსი, აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რესურსი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს წარმომადგენლებთან (უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, აკადემიური პერსონალი) და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები;
- “საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ დამტკიცებული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება #05/01 – 20, 20.04.2012);
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის დოკუმენტი;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით, რომელ სასწავლო კურსებში მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დახვეწა, კერძოდ მონაცემთა დამუშავების გამარტივების მიზნით შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი სახით გამოხატვა და აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის სამუშაოს შესრულების არადამაკმაყოფილები შეფასების მიღების შემთხვევაში ქმედითი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უსდ-წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნული დაწესებულება იყენებს გარე შეფასების სხვადასხვა მექანიზმს. დოკუმენტაციაში წარმოდგენილ იქნა დამოუკიდებელი გარე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტის დასკვნები, რომლებიც აფასებენ მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციას, პროგრამის მიზნების, შედეგებისა და დასაქმების სფეროების მართებულობას, სასწავლო პრაქტიკასთან, მატერიალურ ბაზებთან და სწავლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებს. სასურველია აღნიშნულ პროცედურას წინ უძღოდეს აღწერა თუ როგორ ხდება გარე დამოუკიდებელი ექსპერტის შერჩევა, რა დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე ხდება დადებითი თუ უარყოფითი შეფასების მიღება, რა მექანიზმით არის უზრუნველყოფილი ობიექტური შეფასების მოპოვება. წარმოდგენილ დოკუმენტაციას ახლავს თსუ-ს პროფესორის (შენგელიას) და მიკოლას რომერის უნივერსიტეტის პროფესორის სიმანავიჩინეს (Žaneta Simanavičienė, Professor Habil., Dr., The Head of Lab. Sustainable Inovations, Mykolas Romeris University (Vilnius, Lithuania) დასკვნები, თუმცა მათი ფორმატი განსხვავებულია, ერთს ანკეტის, ხოლო მეორეს ნარატიული სახე აქვს. შესაბამისად, სასურველია შემუშავდეს გარე დამოუკიდებელი ექსპერტის პროგრამის შეფასების დასკვნის უნიფიცირებული შაბლონი, რომელიც შეძლებს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მონაცემების მოპოვებას პროგრამასთან მიმართებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებულ იქნა გარე უცხოელი ექსპერტის რეკომენდაცია გარკვეული სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე შეთავაზების თაობაზე, რაც ასევე ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას/მოზილობას აღნიშნულ უსდ-ში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გარე მექანიზმი ექვემდებარება „საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო აკრედიტაციის დებულებას“. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და უსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების შედეგები, კერძოდ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რაც მდგომარეობდა საგანმანათლებლობა სასწავლო პროგრამაში სასწავლო კურსების სახელწოდებების ცვლილებაში, კრედიტების მოცულობის გადახედვაში, წინაპირობების განსაზღვრაში, სასწავლო ლიტერატურის განახლებასა და პრაქტიკული კომპონენტების

გამლიერებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუს შედეგები; ▪ „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“; ▪ პროგრამის გარე შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია; ▪ ოქმები, რომელიც ასახავენ ინფორმაციას პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია გარე დამოუკიდებელი ექსპერტის შერჩევის და პროგრამის გარე შეფასების პროცედურების, შეფასების უნიფიცირებული ფორმების და კრიტერიუმების წინასწარი გაწერა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას აქვს სისტემატიური ხასიათი და ხორციელდება ყველა დაინტერესებული პირის აქტიური ჩართულობით. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია 2020 წლის ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტების კითხვარის შედეგების შეჯამებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, სწავლის მეთოდების, სხვა სერვისების

ხარისხის (ბიბლიოთეკა, გაცვლითი თუ სასტიპენდიო პროგრამები), სასწავლო პლატფორმებისა (Stud Lab) თუ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კმაყოფილების შესახებ (61/227). აღნიშნული კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ გასაძლიერებელია პროგრამის სწავლის შედეგების დაახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროფესორ-მასწავლებლების მიერ სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა და სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარებაზე აქცენტის გაკეთება. სასურველია დაინტერესებულ მხარეთა კვლევებში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა, მონაცემთა მოპოვების/დამუშავების მეთოდოლოგიაზე ინფორმაციის დართვა და გამოვლენილ ნაკლოვანებებზე ქმედითი სამოქმედო გეგმის შემუშავება. უსდ-ს ასევე წარმოდგენილი აქვს დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რაც ადასტურებს, რომ დისტანციური სწავლების ფორმატით სტუდენტების კმაყოფილების გასაზრდელად გასატარებელია ქმედითი ნაბიჯები. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის შედეგებისა და მათი გამოყენების დოკუმენტი წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების შეთავაზებების/ რეკომენდაციებს ნარატიულ ანგარიშს, სადაც აღწერილია პროგრამასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები/ გამოწვევები და გატარებული ღონისძიებების ნუსხა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით; თუმცა სასურველია, გაიზარდოს გამოკითხულ დამსაქმებელთა რაოდენობა (გამოკითხულ იქნა მხოლოდ სამი წარმომადგენელი), თვისობრივ ანალიზთან ერთად წარმოდგენილი იქნას დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობრივი მონაცემები კვლევის შედეგების სანდოობის გაზრდის მიზნით და ასევე აღწერილ იქნას მონაცემთა მოპოვების სიხშირე და მონაცემთა ანალიზის პროცედურები. დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას, მის შინაარსს და ადასტურებენ მათი მოსაზრებების გათვალისწინებას პროგრამის დახვეწის პროცესში. კურსდამთავრებულთა რეკომენდაციებით შემუშავდა და კურიკულუმში დაინერგა შემდეგი სასწავლო კურსები: მონაცემთა დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები ბიზნესში, ლოჯისტიკის პრინციპები, რისკების მართვა.

წარმოდგენილი უსდ ახდენს აღნიშნული პროგრამის კურიკულუმის შედარებს ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობის დადგენის მიზნით, თუმცა არ არის ნათელი რა პრინციპით ხდება კონკრეტული უნივერსიტეტებისა თუ პროგრამების შერჩევა, სასურველია, სწორება მოხდეს მსგავსი პროფილის ევროპულ თუ ამერიკულ წამყვან უნივერსიტეტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბიზნესის ადმინისტრირების კითხვარი სტუდენტებისათვის;
- დისტანციური სწავლების მიმდინარეობის კვლევა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების აღმწერი დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის პროცესში გაიზარდოს მონაწილეთა, განსაკუთრებით კი დამსაქმებელთა, რაოდენობა, თვისობრივ ანალიზთან ერთად წარმოდგენილ იქნას დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების/შეფასებების

რაოდენობრივი მონაცემები, დაზუსტდეს მონაცემთა მოპოვების მეთოდოლოგია (სიხშირე, ინსტრუმენტი), მონაცემთა ანალიზის პროცედურები და შემუშავდეს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სამოქმედო გეგმა; აღნიშნული პროგრამის კურიკულუმის ევროპული თუ ამერიკული უნივერსიტეტების პროგრამებთან შედარებისათვის, სასურველია, დადგინდეს უცხოური უნივერსიტეტების ნუსხის შერჩევის კრიტერიუმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო პატარაია




თამარ თავხელიძე

მაია ჭინჭარაშვილი

